

კადრირება კინოსა და რეკლამაში

სანდრო ქათამაშვილი

დიზაინის და ანიმაციის სკოლა © 2024

კურსის ხანგრძლივობა: 11 კვირა

კურსის აღწერა:

კურსზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს ელემენტარული სამხატვრო უნარები და სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები. კურსის მიზანია მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი, რომელიც შეძლებს იდეის კადრირებას, Photoshop-სა და After Effects-ში კინოსა და სარეკლამო პროექტისთვის. კურსდამთავრებულს შეეძლება სხვადასხვა ვიზუალური პროდუქტისთვის, როგორებიცაა სარეკლამო ან კინო ნაწარმი, ვიზუალური გეგმის შემუშავება, კადრის კომპოზიციის აწყობა, საწარმოო პროცესისთვის მოკვლევის პროცესის წარმოება, რეფერენსების ძიება და შესაბამისობა.

კურსის განმავლობაში გამოყენებული პროგრამები:

Photoshop, After Effects.

პრერეკვიზიტები:

კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია ხატვის და სამხატვრო ფუნდამენტური უნარების მინიმალურ დონეზე ცოდნა. კურსის დაკომპლექტება მოხდება მოწოდებული პორტფოლიოს საფუძველზე - მსურველებმა უნდა გამოგზავნონ საკუთარი შესრულებით მინიმუმ ხუთი ნახატი მეილზე enroll@das.edu.ge (ციფრული ნახატების შემთხვევაში AI-ით დაგენერირებული ნამუშევრები არ მიიღება).

სწავლების ფორმატი: ფიზიკური და ონლაინ შეხვედრები

კვირა 1
თემა: შესავალი

- რა არის კადრირება?
- კადრირების პროცესი და მისი როლი ანიმაციის წარმოებაში;
- კადრირება კინოსთვის;
- კადრირება რეკლამისთვის.

კვირა 2
თემა: კამერა, კომპოზიცია, ამბის სტრუქტურა

- სილუეტის სტრუქტურა და მისი მნიშვნელობა;
- კადრის პერსპექტივა, დაქსელილი ხაზების გამოყენება; კონცეფციის დიზაინი;
- რევერსული კადრირების მიმოხილვა, ერთი სიუჟეტის ხაზის შერჩევა მასზე სამუშაოდ.

კვირა 3
თემა: კადრირების საფუძვლები

- დინამიური პერსონაჟის ხატვა;
- სცენის მოწყობა;
- მინიატურების დემონსტრაცია.

კვირა 4
თემა: კადრები

- კადრების სპეციფიკა;
- კადრების ერთმანეთისგან გარჩევა - მსხვილი, ახლო და საერთო კადრი;
- კადრების ფუნქციური განსხვავება;
- კადრის ტიპის მნიშვნელობა.

კვირა 5
თემა: პერსონაჟის პოზირება და გამომეტყველება

- პერსონაჟის მოძრაობაში დახატვა;
- ემოციების გამოხატვა პოზებით;
- პერსონაჟის ვიზუალური თანმიმდევრულობა კონსისტენცია;
- პერსონაჟის პოზირება.

კვირა 6
თემა: ანიმატიკის (ვიდეო-კადრირების) მნიშვნელობა ფილმწარმოებაში

კვირა 7
თემა: Photoshop & After Effects საბაზისო ფუნქციები

- უპირატესობები და გამოყენების მაგალითები;
- სამუშაო გარემო და ინსტრუმენტები;
- ძირითადი ანიმაციის პრინციპები After Effects-ში;
- კადრების ანიმატიკში მომზადება Photoshop-ში.

კვირა 8
თემა: დროისა და ტემპის დაგეგმვა

- დროის მნიშვნელობა ანიმაციაში;
- კადრირების ტემპის მართვა;
- დროის დაგეგმვა თამბნეილების გამოყენებით;
- ანიმატიკის შექმნა.

კვირა 9
თემა: ხმა და მუსიკა

- დიალოგის ინტეგრაცია კადრირებაში;
- ხმის ეფექტებისა და მუსიკის დაგეგმვა.

კვირა 10
თემა: ანიმატიკი (ვიდეო-კადრირება)

- ანიმატიკის დამუშავება;
- ხმის ეფექტები;
- ვიზუალური ეფექტები;
- კომპონენტების გაერთიანება;
- ანიმატიკის ამორენდერება.

კვირა 11
თემა: შემაჯამებელი შეხვედრა - ფინალური პროექტების წარდგენა



USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

animatory

HOLY MOTORS

GARNAMATAC